



სატელევიზიო თოქ-შოუების საარჩევნო მედიამონიტორინგი

24 მაისი - 14 ივნისი 2014

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით CRRC საქართველო ახორციელებს მედიის მონიტორინგს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის“ ფარგლებში. მონიტორინგი უტარდება სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს და პრაიმ-ტაიმის დროს გასულ პოლიტიკურ თოქ-შოუებს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, აჭარის ტელევიზიაზე, რუსთავი 2-ზე, იმედზე, მაესტროზე, კავკასიაზე, ტვ3-ზე და ტაბულაზე (მხოლოდ თოქ-შოუები). აღნიშნულ ანგარიშში წარმოდგენილია სატელევიზიო თოქ-შოუების მონიტორინგის შედეგები 24 მაისიდან - 14 ივნისის ჩათვლით. დაკვირვების ქვეშ მოხვდნენ შემდეგი თოქ-შოუები:

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი: „პირველი სტუდია“ - ეკა მიშველაძე;

რუსთავი 2: „არჩევანი“ - გიორგი გაბუნია;

იმედი: „პოლიტიკის დრო“ - თეა სიჭინავა, „რეაქცია“ - ინგა გრიგოლია;

მაესტრო: „სუბიექტური აზრი“ - დიანა ტრაპაიძე და თეონა გეგელია; „დებატები მაესტროზე“ - ნათია გამცემლიძე;

კავკასია: „სტუდია სპექტრი“ - დავით აქუბარდია, „ბარიერი“ - ნინო ჯანგირაშვილი;

ტაბულა: „ფოკუსი“ - მონაცვლეობით უძღვებიან სალომე უგულავა, ნინო მაჭარაშვილი და ირაკლი კიკნაველიძე, „თეორემა“ - თამარ ჩერგოლეიშვილი;

ტვ3: „დებატები“ - ნათია დარსალია (ერთ გადაცემაში იმედა დარსალიასთან ერთად).

მეთოდოლოგია და ანალიზი

თოქ-შოუების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი მოიცავს მხოლოდ თვისებრივ ნაწილს. მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდება გადაცემის სტუმრებსა და თემებზე და ჟურნალისტებზე, გადაცემის წამყვანებზე. ფასდება, რამდენად თანაბარ პირობებში აყენებს ჟურნალისტი სტუმრებს: ჟურნალისტის კითხვები რამდენად თანაბრად მომთხოვნი/ლმობიერია ყველა სტუმრის მიმართ; რამდენად აცდის თოქ-შოუს წამყვანი სტუმრებს აზრის გამოთქმას და როდის აწყვეტინებს საუბარს. ასევე რამდენად ცდილობს ის

სტუმრებისგან სიღრმისეული ინფორმაციის მიღებას და განხილულ საკითხზე მაყურებლისთვის მრავალმხრივი ინფორმაციის მიწოდებას. ასახელებს თუ არა ჟურნალისტი ინფორმაციის წყაროს კითხვების დასმისას ან კომენტარის გაკეთებისას და როგორია მისი არავერბალური ენა. მონიტორინგი ასევე აკვირდება თოქ-შოუებში სიძულვილის ენის (შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი ფრაზების/განცხადებების) გამოყენებას წამყვანების მხრიდან და მათ რეაგირებას სტუმრების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე. ფასდება ჟურნალისტების როლი და ჩართულობა გადაცემის განმავლობაში.

მოცემული ანგარიში მოიცავს თოქ-შოუების მედია მონიტორინგის შედეგებს 24 მაისიდან 14 ივნისის ჩათვლით.

ძირითადი მიგნებები

24 მაისიდან 14 ივნისამდე პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა წინასაარჩევნო თემატიკა. თოქ-შოუების უმეტესობაში მიწვეულნი იყვნენ მერობისა და მაჟორიტარობის კანდიდატები სხვადასხვა პარტიიდან და მაყურებელს ჰქონდა საშუალება, მოესმინა მათი საარჩევნო დაპირებები და გეგმები. გადაცემების ნაწილში განიხილებოდა კანდიდატების საარჩევნო პროგრამებიც.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში თოქ-შოუებს შეემატა დებატების ტიპის ორი გადაცემა ტვ3-სა და მესტროზე, სადაც განსხვავებული პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები ერთმანეთის პირისპირ იხდნენ და განიხილავდნენ მიმდინარე მოვლენებს. შესაბამისად, მეტი საშუალება გაჩნდა, რომ მაყურებელს განსხვავებული პოზიციები და შეფასებების მოესმინა.

ადგილობრივი არჩევნების წინა სამი კვირის განმავლობაში თოქ-შოუების უმეტესობაში არ ისმოდა სიძულვილის ენა. იყო არაკორექტული ლექსიკის გამოყენების შემთხვევები ერთ-ერთი გადაცემის წამყვანის მხრიდან. ასევე, არასანდო წყაროზე დაყრდნობით მოწოდებული ინფორმაციის ან წყაროს დასახელების გარეშე მოწოდებული ინფორმაციის ცალკეული შემთხვევები.

არხებისა და გადაცემების ცალკეული აღწერა ქვემოთაა მოცემული.

პირველი არხი

პირველი სტუდია

გადაცემა „პირველი სტუდია“ პირველი არხის ეთერში კვირაში ორჯერ გადის და მისი წამყვანია ეკა მიშველაძე. 24 მაისიდან 14 ივნისის ჩათვლით პერიოდში ეთერში ექვსი

გადაცემა გავიდა, რომლებიც მთლიანად დაეთმო არჩევნებში მონაწილე სუბიექტების პროგრამებს და მათი კანდიდატების წარდგენას. თოქ-შოუში ძირითადად აფასებდნენ საარჩევნო გარემოს და საუბრობდნენ კანდიდატების საარჩევნო გეგმებზე.

მაყურებლისთვის საარჩევნო პროგრამის წარსადგენად მიწვეული იყვნენ შემდეგი პოლიტიკური პარტიები და კანდიდატები: სერგო ჯავახიძე (თვითმმართველობა ხალხს), გიორგი ლაღიძე (მომავალი საქართველო), მიხეილ სალუაშვილი (გაერთიანება უფლის სახელით, უფალია ჩვენი სიმართლე), გიორგი ლილუაშვილი (მერაბ კოსტავას საზოგადოება), ირმა ინაშვილი (საქართველოს პატრიოტთა ალიანსი), გიორგი გაჩეჩილაძე (მწვანეთა პარტია), ირაკლი ღლონტი (ირაკლი ღლონტი - რეფორმატორები), როინ ლიპარტელიანი (მშრომელთა საბჭო). გარდა ამისა, წინასაარჩევნო კამპანიის პრეზენტაცია გააკეთეს ნაციონალურმა მოძრაობამ, კოალიცია ქართულმა ოცნებამ და ლეიბორისტულმა პარტიამ.

გადაცემა საკმაოდ დაბალანსებული, ხოლო ჟურნალისტი ობიექტური და ნეიტრალური იყო. საარჩევნო პროგრამის და საკუთარი შეხედულებების გადმოსაცემად ყველა კანდიდატს თანაბარი დრო ჰქონდა. ჟურნალისტი თითქმის ყველა კანდიდატს მსგავს შეკითხვებს უსვამდა. ეკა მიშველასის ქცევა არცერთი რესპოდენტის მიმართ განსხვავებული არ ყოფილა. გამონაკლისია 6 ივნისის გადაცემა, როდესაც გიორგი გაჩეჩილაძემ საკუთარ თანაპარტიელებთან ერთად პროტესტის ნიშნად დატოვა გადაცემა. გადაცემის მიმდინარეობისას რესპოდენტი საკმაოდ აგრესიული იყო და წამყვანს არ აცდიდა კითხვების დასმას. სტუმარი უკმაყოფილებას გამოხატავდა მისი პარტიისადმი დათმობილი სატელევიზიო დროის სიმცირის გამო. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მისი პრეტენზიები ჟურნალისტის მიმართ არარელევანტური იყო.

ეკა მიშველაძე ძირითადად არ ოპონირებდა და არ აწყვეტინებდა საუბარს სტუმრებს. მისი მიზანი რესპოდენტების წინასაარჩევნო დაპირებების მაქსიმალური გაშუქება იყო. მხოლოდ იმ შემთხვევაში ერთვებოდა საუბარში და ეძიებოდა სტუმრებს, როდესაც რესპოდენტი არ პასუხობდა დასმულ შეკითხვას. ჟურნალისტი ცდილობდა, მაყურებელს სიღრმისეული ინფორმაცია მიეღო რესპოდენტების მოსაზრებებსა თუ სამომავლო დაპირებებზე.

გადაცემაში არ ყოფილა სიძულვილის ენის გამოყენების არცერთი შემთხვევა არც სტუმრების და არც ჟურნალისტის მხრიდან. წამყვანი არ იყენებდა ინფორმაციის არასანდო წყაროებს.

რუსთავი 2

არჩევანი

„არჩევანი“ წარმოადგენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თოქ-შოუს, რომელიც გადის ყოველ სამშაბათს და აანალიზებს აქტუალურ პოლიტიკურ მოვლენებს. გადაცემის წამყვანია გიორგი

გაბუნია. 24 მაისიდან 14 ივნისის ჩათვლით პერიოდში ეთერში გავიდა 3 გადაცემა, რომლებიც მთლიანად დაეთმო წინასაარჩევნო პრეზენტაციებს. განხილული იყო შემდეგი:

- ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო კამპანია;
- ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამა;
- თბილისის მერობის კანდიდატებისა და მათი პოლიტიკური ლიდერების მოწოდებები.

გადაცემა გამოირჩეოდა სტუმრების სიმრავლით. მონიტორინგის ამ პერიოდში გასულ გადაცემებში თოქ-შოუს სტუმრობდნენ ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების წარმომადგენლები, რომლებიც არჩევნებში იღებდნენ მონაწილეობას, თბილისის მერობის კანდიდატები: კახა კუკავა (არასაპარლამენტო ოპოზიცია), დიმიტრი ლორთქიფანიძე (ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია), ნიკა მეღია (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), ასმათ ტყაბლაძე (ლეიბორისტული პარტია), დავით ნარმანია (ქართული ოცნება) და ამავე პოლიტიკური პარტიებისა და გაერთიანებების ლიდერები და მათი ოჯახის წევრები. ასევე, მთავრობის წარმომადგენლები: კახი კალაძე (ენერგეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი), თეა წულუკიანი (იუსტიციის მინისტრი), დავით სერგეენკო (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი), პაატა ზაქარეიშვილი (სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში), მაია ფანჯიკიძე (საგარეო საქმეთა მინისტრი) და გიორგი კვირიკაშვილი (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი).

საარჩევნო პრეზენტაციების დროს რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ, დიდხანს და თავისუფლად ესაუბრათ. შესაბამისად, გიორგი გაბუნია გადაცემაში ნაკლებად იყო ჩართული. წამყვანი თითქმის არასდროს აწყვეტინებდა საუბარს სტუმრებს და მათ უთმობდა ძირითადად საეთერო დროს, რათა სრულად გაეჟღერებინათ საკუთარი დაპირებები.

გადაცემის წამყვანი მოდერატორი იყო და ამავე დროს არცერთ რესპონდენტს უხეშად არ ეჭრებოდა საუბარში. წამყვანი სვამდა აქტუალურ კითხვებს მეტწილად განსხვავებული პოზიციიდან. საწინააღმდეგო არგუმენტების მოყვანით, გიორგი გაბუნია ცდილობდა სტუმრებისთვის საპირისპირო აზრის დაფიქსირებას. თუმცა, ხანდახან მის კომენტარებსა და კითხვებს ირონიული ელფერი დაჰკრავდა.

თუმცა, აღსანიშნავია 27 მაისის გადაცემა, რომელშიც რიგ შემთხვევებში იგრძნობოდა წამყვანის მხრიდან ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მსხვერპლად წარმოჩენის მცდელობა. „ბ-ნო გიგა [გიგა ბოკერია], მე მაყურებელს მინდა ვუთხრა, მას ეს ჯერ ალბათ არ ეცოდინება, რომ სულ რაღაც რამოდენიმე წუთის წინ პოლიციის შენობიდან რეზო თაბუკაშვილი და გიო მგელაძე, რომელთა მსხვერპლიც ჩვენ ვიხილეთ ჩვენი გადაცემის დასაწყისში, ზურაბ ჭიაბერაშვილს ვგულისხმობ, მხოლოდ ხელწერილის ანაბარა ანუ ხელწერილის დატოვების შემდეგ გამოუშვეს პოლიციიდან და სასამართლოშიც ჯერ-ჯერობით, როგორც ჩანს, საქმე შესული არ არის. აი, ამ ფონზე მინდა, გკითხოთ, თქვენ შეაფასოთ მდგომარეობა, რომელშიც თქვენ გიწევთ ბრძოლა კონკურენტების წინააღმდეგ 15 ივნისს“. ასევე, იმავე გადაცემაში

გაბუნამ შემდეგი სიტყვებით წარადგინა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები: „ყველა ლიდერი, რომელსაც თავი მთელი აქვს, ჩვენ სტუდიაში იმყოფება.“

10 ივნისის გადაცემა მიდიოდა განსხვავებული ფორმატით. იმისათვის, რომ ყველა კანდიდატი თანაბარ მდგომარეობაში ყოფილიყო და არცერთი მხარის მიმართ არ დაფიქსირებულიყო რაიმე სახის მიკერძოება, რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ, საარჩევნო ნომრების მიხედვით მიემართათ ამომრჩევლისთვის. მათ სასაუბროდ 2-2 წუთი ეძლეოდათ და დროის ამოწურვის შემდეგ ავტომატურად ეთიშებოდათ მიკროფონი. ჟურნალისტის კითხვები ყველა კანდიდატისა და მათი პოლიტიკური ლიდერების მისამართით ერთი და იგივე შინაარსის იყო.

აღსანიშნავია, რომ გიორგი გაბუნია ძირითადად იყენებდა სანდო წყაროს და განცხადებების ციტირებას ახდენდა. მას არასდროს გამოუყენებია არასანდო ინფორმაცია. საერთო ჯამში, გადაცემა ინფორმაციული სახის იყო. წამყვანი აქტიურ ოპონირებას არ უწევდა რესპონდენტებს, თუმცა ჩაძიების გზით იღებდა ზუსტ ინფორმაციას.

იმედი

რეაქცია

„რეაქცია“ ყოველკვირეული თოქ-შოუა, რომელიც იმედის ეთერში პარასკევობით საღამოს 10 საათზე გადის, წამყვანი ინგა გრიგოლიაა. გადაცემა რამდენიმე ნაწილისგან შედგება. მასში, როგორც წესი, რამდენიმე სტუმარია მიწვეული და დისკუსიაში დამსწრე საზოგადოებაც მონაწილეობს (წინასაარჩევნო პერიოდში ძირითადად პარტიების მხარდამჭერები). 24 მაისიდან 14 ივნისამდე პერიოდში „რეაქციის“ სამი გადაცემა გავიდა ეთერში.

წინასაარჩევნო პერიოდთან დაკავშირებით თითოეულ გადაცემაში სტუდია ძირითადად პოლიტიკურ პარტიებსა და მათ მხარდამჭერებს ეთმობოდათ. ამ პერიოდში თავიანთი პარტიის საარჩევნო პროგრამები წარადგინეს ლეიბორისტულმა პარტიამ და არასაპარლამენტო ოპოზიციამ. გარდა ამისა, გადაცემას სტუმრობდნენ თბილისის მერობის კანდიდატები (დავით ნარმანია, ნიკოლოზ მელია, დიმიტრი ლორთქიფანიძე, ასმათ ტყაბლაძე და კახა კუკავა.) გადაცემაში ასევე მონაწილეობდნენ საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლები, არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები და ბიზნესმენი ლევან ვასაძე. გარდა სხვადასხვა პარტიის წინასაარჩევნო პროგრამებისა, „რეაქციაში“ განხილული იყო სხვა აქტუალური საკითხებიც:

- დებატები უმრავლესობასა და არასაპარლამენტო ოპოზიციას შორის;
- წინასაარჩევნო დაპირებები;
- თბილისის მერობის კანდიდატების დაპირებები, გეგმები, შანსები და რეალობა;
- ლევან ვასაძის პოლიტიკური განცხადებები და სხვა.

ინგა გრიგოლია მისთვის ჩვეული ემოციურობითა და დამაინტრიგებელი მუხტით აანონსებდა გადაცემებს: „სამკვდრო საციცოცხლო ბრძოლაა ქართულ პოლიტიკაში“, „უმწვავესი დაპირისპირებები მთლიანად საქართველოს მასშტაბით“, „დაკითხავს თუ არა საქართველოს პროკურატურა პრემიერმინისტრს, წინ დამაბული და დიდი ეთერი გველოდება“, „დღეს თქვენ ქართული პოლიტიკის ყველა კულუარულ ინფორმაციას შეიტყობთ“. ამ ყველაფერს უფრო მეტ სიმძაფრეს თანდართული სიუჟეტები, მუსიკა და წამყვანის ტონი სძენდა.

ძირითადად, წამყვანი ცდილობდა, თოქ-შოუში მხოლოდ მოდერატორის როლი შეესრულებინა. რესპონდენტებს ხშირად უწევდა ოპონირებას მათი ნათქვამის საწინააღმდეგო არგუმენტებით. თუმცა, რიგ საკითხებზე შეკითხვებიდან და კომენტარებიდან გამომდინარე, მისი პოზიცია იკვეთებოდა.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით მიწვეული სტუმრები ყოველთვის რელევანტურები იყვნენ თემასთან და წამყვანის კითხვებისა და ჩაძიების შედეგად მაყურებელს მიეწოდებოდა განსხვავებული მოსაზრებები ამა თუ იმ საკითხზე. დამაბული დებატების მიუხედავად, ჟურნალისტი არ კარგავდა გადაცემის მართვის სადავეებს. მაქსიმალურად ცდილობდა, რომ ცხარე კამათის დროსაც, ყველა რესპონდენტს მისცემოდა ლაპარაკის საშუალება და მსმენელს შეძლებოდა ყველა მათგანის მიერ გამოთქმული აზრის ბოლომდე მოსმენა.

თუმცა, 30 მაისს, როდესაც გადაცემის სტუმარი ლევან ვასაძე იყო, რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ პროცესს სტუმარი მართავდა და არა თავად ჟურნალისტი. ვასაძე ძირითადად ხალხის სახელით საუბრობდა („მთელი ერი წინააღმდეგია“, „ხალხი რასაც ფიქრობს, იმას ვეუბნები“). ინგა გრიგოლია სათანადო ოპონირებას და ჩაძიებას ვერ ახერხებდა რესპონდენტთან. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ გადაცემაში გაუშვეს სტუმრის მიერ მოტანილი ვიდეო მასალა, რომელიც ასახავდა ნახატებიან წიგნს, რომლითაც, ვასაძის თქმით, სკანდინავიის ქვეყნებში 4-6 წლის ბავშვებს ასწავლიდნენ სექსის გაკვეთილებზე. ეს ინფორმაცია მხოლოდ ლევან ვასაძის სიტყვებით დასტურდებოდა. ვიდეოში არ ჩანდა, ეს მართლა სახელმძღვანელო იყო თუ არა და წამყვანსაც არ დაუსვამს დამატებითი კითხვა ამის შესახებ. გარდა ამისა, გადაცემაში აჩვენეს ვასაძის მიერ მოტანილი ვიდეო კადრები, რომლებიც აბორტის პროცესს ასახავდა. ეს კადრები გადაცემის თემას (ანტიდისკრიმინაციულ კანონს) არ ეხებოდა და ვასაძის მიერ აბორტის წინააღმდეგ გამოთქმული აზრის გამძაფრებისთვის იყო გამოყენებული. მიუხედავად იმისა, რომ კადრებს დადებული ჰქონდა ბუნდოვანების ეფექტი, საკმაოდ მძიმე სანახავი იყო.

ზოგადად, გადაცემებში ჟურნალისტი არ იყენებდა სიმულვილის ენას ან არაკორექტულ გამონათქვამებს. თუმცა, 30 მაისის გადაცემაში გრიგოლია ლევან ვასაძის მიერ ხშირად გამოთქმულ ჰომოფობიურ კომენტარებზე არ რეაგირებდა, პასიური მსმენელის როლს ირგებდა და ნაკლები ოპონირებით საშუალებას აძლევდა რესპონდენტს, მისი მოსაზრება დადგენილ ფაქტად წარმოეჩინა.

პოლიტიკის დრო

„პოლიტიკის დრო“ ყოველკვირეული თოქ-შოუა, რომელიც იმედის ეთერში სამშაბათობით გადის. გადაცემის წამყვანია თეა სიჭინავა. მონიტორინგის ამ პერიოდში გავიდა 3 გადაცემა. გადაცემას სტუმრობდნენ პარლამენტის უმრავლესობისა და უმცირესობის წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, საკითხის ირგვლივ დაინტერესებული პირები და ექსპერტები. თოქ-შოუ მიმოიხილავდა კვირის მთავარ მოვლენებს. ამ პერიოდში გადაცემაში განხილული იყო შემდეგი საკითხები:

- წინასაარჩევნო პერიოდი და პოლიტიკური დევნა;
- გირგვლიანის საქმე;
- ბიზნესის 10-წლიანი პოლიტიკური ისტორია;
- ურთიერთბრალდებები საარჩევნო სუბიექტებს შორის;
- ევროპული არჩევანი;
- ქუჩაში ანგარიშსწორების ფაქტები.

გადაცემა საკმაოდ დაბალანსებული იყო სტუმრების პოლიტიკური მიკუთვნებულობის თვალსაზრისით. თოქ-შოუში წარმოდგენილი იყო როგორც მთავრობის, ისე ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ჟურნალისტი გადაცემაში აქტიურად იყო ჩართული, სვამდა კითხვებს, იყენებდა ჩამიების გზით ინფორმაციის მიღების მეთოდს და საკმაოდ ხშირად წარმოადგენდა სტუმრებისაგან განსხვავებულ აზრს. ჟურნალისტი სტუმრებს საუბარს არ აწყვეტინებდა. თეა სიჭინავას მიერ დასმული კითხვები საკმაოდ მომთხოვნი იყო ყველა სტუმრის მიმართ და მისი მხრიდან არ იგრძნობოდა რომელიმე მხარის მიმართ მიკერძოებული ან სუბიექტური დამოკიდებულება.

მონიტორინგის ამ პერიოდში ზოგჯერ იყო შემთხვევები, როცა ჟურნალისტს უჭირდა გადაცემაში გამართული დებატების მართვა, რესპოდენტები ერთმანეთის საეთერო დროს იყენებდნენ სასაუბროდ, საუბარს აწყვეტინებდნენ ერთმანეთს და ხელს უშლიდნენ აზრის დასრულებაში. ჟურნალისტი ამ დროს სიტუაციის დარეგულირების ნაცვლად, ხმას უწევდა და რესპოდენტების კამათის პარალელურად, ხმამაღლა სვამდა კითხვას. წამყვანმა რამდენჯერმე მიიღო შენიშვნა სტუმრისაგან იმასთან დაკავშირებით, რომ მან ვერ უზრუნველყო მისთვის განკუთვნილი დროის განაწილება.¹

¹ 3 ივნისის გადაცემაში თამარ კორძაიამ გამოხატა უკმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ წამყვანმა ვერ უზრუნველყო მისთვის გამოყოფილი დროის გამოყენება.

წამყვანი სიძულვილის ენას ან არაკორექტულ ლექსიკას არ იყენებდა. როდესაც სტუმრების მხრიდან ისმოდა შეურაცხმყოფელი ფრაზები, წამყვანი ძირითადად რეაგირებდა და კორექტულობისკენ მოუწოდებდა მათ (მაგალითად, 10 ივნისის გადაცემაში, როცა გადაცემის სტუმარმა მიხეილ სააკაშვილი მოიხსენია, როგორც „დორბლიანი“, წამყვანმა მას კორექტულობისკენ მოუწოდა).

მაესტრო

სუბიექტური აზრი

თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ მაესტროს ეთერში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ყოველდღე გადის. გადაცემას უძღვებიან დიანა ტრაპაიძე და თეონა გეგელია, რომლებიც გადაცემის პირველ ნახევარში მიმოიხილავენ მიმდინარე მოვლენებს, ხოლო მეორე ნაწილში მოწვეულ სტუმრებთან ერთად აგრძელებენ აქტუალურ თემებზე საუბარს. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ეთერში „სუბიექტური აზრის“ 15 გადაცემა გავიდა. გადაცემას სტუმრობდნენ როგორც საპარლამენტო უმრავლესობის და უმცირესობის, აგრეთვე სხვა პოლიტიკური პარტიების წევრები, არჩევნების მონაწილე სუბიექტები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. წამყვანებმა და სტუმრებმა განიხილეს შემდეგი თემები:

- მოსმენების შესახებ კანონპროექტი;
- პარტიების საარჩევნო კამპანია, წინასაარჩევნო გარემო და ზეწოლა კანდიდატებზე;
- აფხაზეთის ირგვლივ განვითარებული მოვლენები;
- საქართველოს საგარეო პოლიტიკა;
- უკრაინაში მიმდინარე მოვლენები;
- სოლიდარობის ფონდის შექმნა;
- დავით ცინდელიანის საქმე;
- საქართველოს დამოუკიდებლობის 23 წლიანი ისტორია;
- ფეხბურთის ფედერაციაში პრეზიდენტის არჩევნები.

დიანა ტრაპაიძე და თეონა გეგელია საკმაოდ აქტიურად აფიქსირებდნენ საკუთარ მოსაზრებებს და აკეთებდნენ საკუთარ სუბიექტურ შეფასებებს. წამყვანები სვამდნენ ყველა მხარისადმი მომთხოვნ კითხვებს, დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად ხშირად ეძიებოდნენ რესპონდენტებს. ჟურნალისტების კითხვებსა და დამოკიდებულებაში არ იგრძნობოდა რომელიმე კონკრეტული მხარის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება.

გადაცემაში ყველა სტუმარი თანაბარ მდგომარეობაში იყო და ყველას თანაბარი დრო ეთმობოდა. ჟურნალისტები სტუმრებს აცდიდნენ აზრის გამოთქმას და არ აწყვეტინებდნენ საუბარს, თუ არ სურდათ ჩაძიების გზით ინფორმაციის მიღება ან განსხვავებული აზრის წარმოდგენა.

მონიტორინგის ამ პერიოდში, არ დაფიქსირებულა სიძულვილის ენის გამოყენების არცერთი შემთხვევა, არც სტუმრების და არც ჟურნალისტების მხრიდან. წამყვანები არ იყენებდნენ არასანდო, გადაუმოწმებელ ინფორმაციას. თოქ-შოუში ასევე არ დაფიქსირებულა თემიდან აცდენა, ხოლო გადაცემაში მოწვეული სტუმარი ისე იყო შერჩეული, რომ შეეძლო კომპეტენტურად ესაუბრა განსახილველ თემაზე.

დებატები მაესტროზე

„დებატები მაესტროზე“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუა, რომელიც კვირაში ორჯერ, სამშაბათს და ხუთშაბათს გადის პირდაპირ ეთერში. გადაცემის წამყვანია ნათია გამცემლიძე. თოქ-შოუ მიმოიხილავს საარჩევნო და სხვა აქტუალურ თემებს სტუდიაში მოწვეულ სტუმრებს შორის გამართული დებატების ფორმატით. 24 მაისიდან 14 ივნისამდე პერიოდში ეთერში გავიდა 6 გადაცემა, რომლებშიც განიხილეს შემდეგი საკითხები:

- წინასაარჩევნო გარემო;
- საქართველოს ეკონომიკა;
- შესრულებული და შეუსრულებელი დაპირებები ქართულ პოლიტიკაში;
- თვითმმართველობის არჩევნები თბილისში;
- კოჰაბიტაცია;
- ნაციონალური მოძრაობის წევრებისა და მოქალაქეების დაპირისპირება ქუჩაში;
- პრემიერ მინისტრის პრესკონფერენცია და მისი განცხადებები.

აღსანიშნავია, რომ გადაცემის სტუმრები უმეტესწილად ქართული ოცნებისა და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები იყვნენ. გადაცემას ასევე სტუმრობდნენ ეკონომიკის მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე ელისაშვილი (საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატი), ლეიბორისტული პარტიისა და გაერთიანება „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ წარმომადგენლები.

ნათია გამცემლიძეს ახასიათებდა საკმაოდ მომთხოვნი კითხვების დასმა განსხვავებული პოზიციიდან. იგი ძირითადად არ აფიქსირებდა თავის პოზიციას. გადაცემის ფორმატიდან გამომდინარე, მიწვეული სტუმრები ერთმანეთს მწვავედ უპირისპირდებოდნენ და გაუთავებლად კამათობდნენ ერთმანეთში. წამყვანი ძირითადად აკონტროლებდა და არეგულირებდა მწვავე კამათს. თუმცა, რესპონდენტები მეტწილად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას, რადგან მათ თავისუფლად საუბრის საშუალება არ ჰქონდათ. მაგალითად, 29 მაისის გადაცემაში დავით ზურაბიშვილი ფეხზეც კი ადგა, მიკროფონი მოიხსნა და გადაცემის დატოვებას აპირებდა, რადგან მას თავისუფლად საუბრის საშუალება არ ჰქონდა. ჟურნალისტი მოუწოდებდა მას, რომ მაყურებლისთვის პატივი ეცა.

გადაცემაში სტუმრები თანაბარ მდოგმარეობაში იყვნენ. ჟურნალისტი თანაბარი აქტიურობით ოპონირებდა მათთან, ძირითადად არ აწყვეტინებდა საუბარს. თუმცა, იყო შემთხვევა, 5 ივნისის გადაცემაში, როცა ბარამიძე იწყებდა საუბარს კობახიძის მიერ გაკეთებული კომენტარების შემდეგ და სურდა რომ დაესრულებინა საუბარი, მაგრამ ჟურნალისტი გამუდმებით აწყვეტინებდა მას.

კავკასია

ბარიერი

გადაცემა „ბარიერი“ კვირაში ოთხჯერ გადის კავკასიის ეთერში. გადაცემას ჩვეულებრივ ნინო ჯანგირაშვილი უძღვება. ორშაბათობით კი მისი წამყვანი ირაკლი კორძაიაა. მას გადაცემა თანაწამყვანებთან ერთად მიჰყავს, რომლებიც სხვადასხვა მედიის წარმომადგენლები არიან. „ბარიერში“ ქართული მედიის წარმომადგენლები ყოველ ორშაბათს სხვადასხვა შემადგენლობით წარმოგვიდგებიან.

24 მაისიდან 14 ივნისის ჩათვლით პერიოდში „ბარიერის“ 12 გადაცემა გავიდა. ნინო ჯანგირაშვილის მიერ მომზადებულ გადაცემებში, მიწვეულები იყვნენ პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები: კოალიცია ქართული ოცნების და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები და მაჟორიტარობის კანდიდატები, იუსტიციის მინისტრი, ახალი მემარჯვენეების ლიდერი, არასაპარლამენტო ოპოზიციის, ერთიანი ოპოზიცია ნინო ბურჯანაძის წევრები და ალექსანდრე ელისაშვილი, საბურთალოს რაიონის დამოუკიდებელი მაჟორიტარობის კანდიდატი. გადაცემას ასევე სტუმრობდნენ თავდაცვის ყოფილი მინისტრი თენგიზ კიტოვანი, არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები, ექსპერტები და საზოგადოების სხვა წევრები. გადაცემაში განხილული იყო შემდეგი თემები:

- მედია და ხელისუფლება: პრემიერმინისტრი და ჟურნალისტი;
- ბიზნესი და პოლიტიკა საქართველოში დღეს და სააკაშვილის დროს;
- მმართველი გუნდის საკადრო მუშაობა და პოლიტიკა;
- წინასაარჩევნო გარემო, გახშირებული წინასაარჩევნო ინცინდენტები;
- ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებული დეტალები;
- აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები;
- უწყებათაშორისი კომისიის მუშაობა;
- მიგრაციის შესახებ კანონი;
- ამომრჩეველთა ელექტრონული სიები;
- ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში და უვადო პატიმრების თემა;
- შრომის კოდექსი და სასამართლო რეფორმა;

- იუსტიციის მინისტრის საკადრო პოლიტიკა და მისი დამოკიდებულება ქვეყნის შიდა პროცესებისა და საგარეო კურსისადმი;
- თენგიზ კიტოვანის დაბრუნება პოლიტიკაში.

ნინო ჯანგირაშვილი აქტიურად იყო ჩართული გადაცემაში, ხშირად იყენებდა ჩამიების მეთოდს რესპონდენტების პოზიციების უფრო ნათლად წარმოსაჩენად. იგი ცდილობდა სტუმრებისგან განსხვავებული აზრის გაჟღერებას და სტუმრებს მათი ოპონენტების არგუმენტებით ესაუბრებოდა. წამყვანი მომთხოვნი იყო ყველა სტუმრის მიმართ, მის კითხვებში არ იგრძნობოდა რომელიმე მხარის მიმართ სუბიექტური დამოკიდებულება ან მიკერძოება. იგი შეძლებისდაგვარად ცდილობდა ყველა სტუმარს მისცემოდა საუბრის შესაძლებლობა. თუმცა, ხშირად გადაცემის მსვლელობისას სტუმრები ერთდროულად საუბრობდნენ. თავად ჟურნალისტიც ხშირად მათთან ერთად პარალელურ რეჟიმში საუბრობდა. ამის გამო, იყო შემთხვევები, როდესაც მაყურებლისთვის გადაცემიდან განხილულ საკითხზე ინფორმაციის მიღება რთული იყო.

გადაცემა „ბარიერის“ ფორმატი ორშაბათობით განსხვავებული იყო. ირაკლი კორძიას ჰყავდა თანაწამყვანები, სხვადასხვა შემადგენლობით, რომლებიც ქართულ მედიას წარმოადგენდნენ.

საერთო ჯამში, ყოველი ორშაბათის „ბარიერი“ ძალიან ხმაურიანი, მწვავე და აქტუალური იყო. გადაცემას წამყვანი ირაკლი კორძია წარმართავდა. ის ჩართული იყო და ხშირად აკონტროლებდა, რომ პრობლემატური საკითხები, რომელიც უნდა დასმულიყო, თანაბარი ქრონომეტრაჟით განხილულიყო. თანაწამყვანი ჟურნალისტები ნეიტრალურები იყვნენ, ისინი არ აფიქსირებდნენ საკუთარ პოზიციებს.

თუმცა, 26 მაისის გადაცემაში, როდესაც სტუდიაში თენგიზ კიტოვანი იყო, ისინი ღიად აცხადებდნენ, რომ თენგიზ კიტოვანის განცხადებებზე პროტესტი უჩნდებოდათ. გადაცემის მსვლელობისას ჩანდა, რომ მათთვის რთული იყო, შეენარჩუნებინათ ნეიტრალური დამოკიდებულება. ჟურნალისტები შედარებით უფრო კრიტიკულები იყვნენ ყოფილი თავდაცვის მინისტრის მიმართ, რომელმაც გადაცემა პროტესტის ნიშნად დატოვა. მიუხედავად მწვავე კითხვებისა, ჟურნალისტებს არ დაურღვევიათ ეთიკის ნორმები.

სტუდია სპექტრი

თოქ-შოუ „სტუდია სპექტრი“ არის დავით აქუბარდიას გადაცემა, რომელიც კავკასიის ეთერში ყოველდღე გადის. რესპონდენტებს შორის ჭარბობდნენ ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. თუმცა, გადაცემის სტუმრებს შორის აგრეთვე იყვნენ მინისტრები და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, მაჟორიტარობის კანდიდატები, არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები და ცენტრალური

საარჩევნო კომისიის წევრი. წამყვანმა სტუდიაში მოწვეულ სტუმრებთან ერთად განიხილა შემდეგი თემები:

- დიასპორის სამინისტროს საქმიანობა და პროექტები;
- არჩევნები და კანდიდატების საარჩევნო კამპანია;
- პრემიერმინისტრის პრესკონფერენცია;
- ქალთა ჩართულობა პოლიტიკურ საქმიანობაში;
- იპოთეკართა პრობლემები საქართველოში და აქცია ქართული ოცნების ოფისთან;
- ბიზნესის პრობლემები ახალი ხელისუფლების პირობებში;
- აფაზეთსა და უკრაინაში განვითარებული მოვლენები;
- საქართველოს შიდა პოლიტიკა;
- მიმდინარე სამართლებრივი პროცესების ვრცელი ანალიზი;
- 26 მაისთან დაკავშირებული მოვლენები;
- ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის საკითხი.

„სტუდია სპექტრის“ გადაცემები გამოირჩეოდა გაშუქებული თემების მრავალფეროვნებით. თუმცა, რიგ შემთხვევებში შერჩეული თემები არ იყო აქტუალური. ხშირად ერთი გადაცემის ან ბლოკის ფარგლებში წამყვანი და სტუმრები ერთდროულად რამდენიმე საკითხის ირგვლივ მსჯელობდნენ და სცდებოდნენ სასაუბრო თემას.

დავით აქუბარდია საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული გადაცემის მიმდინარეობაში და ხშირად აფიქსირდებდა საკუთარ პოზიციებს. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ჟურნალისტიკ სარგებლობდა მოწვეული სტუმრის სტატუსით. გადაცემაში სტუმრებსა და წამყვანს შორის მსჯელობა და დისკუსია მიმდინარეობდა საკმაოდ ფამილარულ გარემოში. უმეტეს შემთხვევაში წამყვანი ლოიალური იყო სტუმრების მიმართ. თუმცა, როდესაც გადაცემაში სტუმრად იმყოფებოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, ჟურნალისტი საკმაოდ აქტიურ ოპონირებას უწევდა მათ.

გადაცემაში მიწვეული სტუმრები სარგებლობდნენ თანაბარი დროით და ეძლეოდათ შესაძლებლობა, დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი. წამყვანი იშვიათად იყენებდა ჩაძიების გზით ინფორმაციის მიღების მეთოდს და იშვიათად წარმოადგენდა სტუმრისაგან განსხვავებულ მეორე აზრს. ჟურნალისტი სტუმრებს საუბარს აწყვეტინებდა, თუ მას სურდა საკუთარი პირადი პოზიციის დაფიქსირება.

გადაცემაში მიწვეული სტუმრებისგან განსხვავებით, რომლებიც ძირითადად არ იყენებდნენ სიძულვილის ენას და არაეთიკურ ლექსიკას, წამყვანი ხშირად იყენებდა არაკორექტულ გამონათქვამებს, ძირითადად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრების მისამართით. მაგალითად, 5 ივნისის გადაცემაში ნაციონალური მოძრაობის წევრზე საუბრისას - „*ჟულიკი რო ყავთ... რა გვარია, თავდაცვის ყოფილი მინისტრი, ჟულიკია, აბა, ვინ არი...*“ და 2 ივნისის „*ეს ის ვანო მერაბიშვილი, ჩემის აზრით, იყო ვივინდარა და საზიზღარი ადამიანი*“.

გადაცემაში ხშირად ისმოდა ინფორმაცია წყაროს მითითების გარეშე. მაგალითად, 9 ივნისს წამყვანმა რომან შამათავას შესახებ საუბრისას აღნიშნა, რომ „ის ვიღაცა შამათავა ვინ არის. წყალქვეშა სასაფლაო ჰქონია საქართველოში. გაოგნებული ვარ და ანაკლიაშიც გირჩევთ ხალხო, არ ჩახვიდეთ. თურმე, იქ ჭაობებში ადამიანებს ყრიდნენ და ჩონჩხებია აღმოჩენილი. ეს რა ქვეყანაა და თავზარი დამეცა, დღეს რომ გავიგე, რომ ის, რა ქვია, ანაკლიის იმაში, სასტუმროს ბეტონშია ადამიანები ჩამარხული თურმე. ან გამოვიდეს იმ სასტუმროს მეპატრონე და უარყოს ეს, ან გაგვარკვიონ ამ ჭაობებში ვის აგდებდნენ, ვის მარხავდნენ ან 24 ტყვია როგორ ესროლეს იმ როინ შავაძეს.“

ტაბულა

თეორემა

ტაბულას ეთერში კვირაში ორჯერ, ორშაბათს და ხუთშაბათს, გადის თამარ ჩერგოლეიშვილის საავტორო გადაცემა „თეორემა“, რომლის თანაავტორია სალომე ბარკერი. გადაცემა მიმოიხილავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ თემებს. მოცემული ანგარიში მოიცავს 24 მაისიდან 14 ივნისამდე პერიოდს და „თეორემას“ ექვს გადაცემას, რომელიც შემდეგ საკითხებს ეხებოდა:

- პრემიერის პრესკონფერენცია;
- პრემიერის ინტერვიუს BBC-ისთან;
- ოკუპირებულ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები;
- რუსეთის აგრესიული რევიზიონიზმი;
- საფრთხეები, სახელმწიფოს ძალის გამოყენებაზე, მონოპოლიის დაკარგვა;
- შეერთებული შტატებისა და საქართველოს ორმხრივი ურთიერთობა;
- შიდა პოლიტიკური პროცესების გავლენა საქართველოს საერთაშორისო პოზიციებზე;
- ქვეყნის ეკონომიკისა და უსაფრთხოების ურთიერთკავშირი;
- 26 მაისი და საქართველოს პოლიტიკური კულტურა დღეს;
- სოფლის მეურნეობა საქართველოში;
- განსაზღვრავს თუ არა ადამიანის სექსუალურ ორიენტაციას გენეტიკა;
- მარიხუანას დეკრიმინალიზაცია;
- იმედის ფესტივალი;
- 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატი.

ჩამოთვლილ თემებს გადაცემაში ძირითადად სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები განიხილავდნენ (პოლიტოლოგები, თეოლოგები, ფილოსოფოსები, ჟურნალისტები, რეჟისორები, იურისტები, ექიმები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები). გადაცემაში შედარებით უფრო ხშირად იყვნენ მიწვეული ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ყოფილი და მოქმედი მაღალჩინოსნები: შოთა უტიაშვილი (შსს

ანალიტიკური სამსახურის ყოფილი უფროსი), ნიკა რურუა (საზოგადოება „ივერიას“ დამფუძნებელი), გიორგი ბადრიძე (ყოფილი ელჩი დიდ ბრიტანეთში, დიპლომატი), გიგი უგულავა - ნაციონალური მოძრაობის ლიდერი (ის ჩაერთო გადაცემაში), გიორგი კანდელაკი (საპარლამენტო უმცირესობის წევრი). უმრავლესობიდან სტუმრად იყო გიგლა აგულაშვილი, ხოლო მთავრობიდან გია გვაზავა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე და საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია.

სოციალურ-კულტურული თემების განხილვისას, გადაცემა იყო საკმაოდ ინფორმაციული. ჟურნალისტი ყოველთვის კარგად იყო გათვითცნობიერებული სასაუბრო თემების ირგვლივ. მისი კითხვები არასოდეს იყო ზოგადი და მწირი. ის სიღრმისეულად აანალიზებდა საკითხს, ეძიებოდა რესპონდენტებს, სვამდა ბევრ დამატებით კითხვას და აკეთებდა ფაქტებისა და არგუმენტების კონსტატაციას.

პოლიტიკური თემების განხილვისას, თოქ-შოუ საკმაოდ ტენდენციური იყო. გადაცემის სტუმრები უმეტესად ერთ პოზიციას იზიარებდნენ და, გადაცემის წამყვანთან ერთად, ცდილობდნენ მაყურებლის დარწმუნებას საკუთარი ხედვის სისწორეში. მართალია ჟურნალისტი ამას იმით ხსნიდა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები უარს ამბობდნენ სტუმრობაზე, მაგრამ თავადაც არ ცდილობდა მათი პოზიციის გაჟღერებას. შედეგად, გადაცემაში ხელისუფლება უმეტესად უარყოფითად იყო წარმოჩენილი. იგრძნობოდა წამყვანის პოზიცია, რომელიც კრიტიკულად იყო განწყობილი ხელისუფლების მიმართ და ნაკლებად კრიტიკულად - ყოფილი ხელისუფლების მიმართ. ეს სტუმრებთან ოპონირებაშიც გამოიხატებოდა.

გადაცემების მონიტორინგის დროს არ დაფიქსირებულა არცერთი შემთხვევა, როცა თამარ ჩერგოლეიშვილმა საუბარი გააწყვეტინა და აზრი არ დაასრულებინა რესპონდენტებს. სტუმრები ყოველთვის იყვნენ რელევანტური განხილულ საკითხთან. წამყვანი სიძულვილის ენას არ იყენებდა. სტუმრების მხრიდანაც არაკორექტული გამოხატუვამები ძირითადად არ დაფიქსირებულა.

ფოკუსი

თოქ-შოუ ფოკუსი ტელეკომპანია ტაბულას ყოველდღიური გადაცემაა, რომელსაც სამი წამყვანი - სალომე უგულავა, ნინო მაჭარაშვილი და ირაკლი კიკნაველიძე - მონაცვლეობით უძღვება. მოცემული ანგარიში მოიცავს 24 მაისიდან 14 ივნისამდე პერიოდში გასულ 14 გადაცემას. თოქ-შოუში განხილული თემები მიჰყვებოდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. დიდი დრო დაეთმო წინა საარჩევნო გარემოს და ძალადობრივ ფონს. გარდა ამისა, გადაცემა ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები;

- ირაკლი ღარიბაშვილის პრესკონფერენცია;
- ნარკოპოლიტიკა საქართველოში;
- საქართველოს საგარეო პოლიტიკური გამოწვევები და ირაკლი ღარიბაშვილის ინტერვიუ BBC-სთან;
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება;
- არჩევნებში მონაწილე სუბიექტების წინა საარჩევნო დაპირებები.

გადაცემის სტუმრებს შორის ჭარბობდნენ ნაციონალური მოძრაობის წევრები. რესპონდენტთა შორის იყვნენ ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნები, ექსპერტები, არასაპარლამენტო ოპოზიციის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა მხოლოდ რამდენჯერმე მიიღეს მონაწილეობა გადაცემაში. წამყვანები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ ისინი უარს ამბობდნენ გადაცემაში მონაწილეობაზე სხვადასხვა მიზეზით.

იმის გამო, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები იშვიათად სტუმრობდნენ თოქ-შოუს, გადაცემაში მეტად ისმოდა ხელისუფლების კრიტიკა. გარდა ამისა, მოწვეული ექსპერტები ხშირად მსგავს პოზიციას იზიარებენ და არ წარმოადგენენ განსხვავებულ დამოკიდებულებებს საკითხის მიმართ.

გადაცემის სტუმრები ძირითადად თანაბარ მდგომარეობაში იყვნენ. წამყვანები მათ აზრის გამოთქმის საშუალებას ყოველთვის აძლევენ. მათი კითხვები ძირითადად ერთნაირად მომთხოვნი იყო რესპონდენტების მიმართ. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, მაგალითად, 28 მაისის გადაცემაში ნინო მაჭარაშვილი თითქმის არ აწყვეტინებდა საუბარს ფიქრია ჩიხრაძეს, ხოლო თინა ხიდაშელს ხშირად ეჭრებოდა საუბარში და ოპონირებდა მასთან. ირაკლი კიკნაველიძესთან და სალომე უგულავასთან შეინიშნება სტუმრებთან ერთად პარალელურ რეჟიმში კომენტარების გაკეთება. თუმცა, სალომე უგულავასთვის დამახასიათებელია უფრო მეტი დამატებითი კითხვის დასმა, ჩაძიება და რესპონდენტებთან ოპონირება.

„ფოკუსის“ წამყვანები სიძულვილის ენას ან არაეთიკურ ლექსიკას არ იყენებდნენ. ასეთი გამონათქვამები არც გადაცემის სტუმრების მხრიდან დაფიქსირებულა.

ტვ3

დებატები ტვ3-ზე

ტვ-3 ის ეთერში დაიწყო ახალი თოქ-შოუ „დებატები ტვ3-ზე“, რომელიც კვირაში ორჯერ, სამშაბათს და ხუთშაბათს, მთავარი ამბების დასრულებისთანავე გადიოდა ეთერში. პირველ გადაცემას ორი ჟურნალისტი: იმედა დარსალია და ნათია თოიძე უძღვებოდა. შემდეგ გადაცემებს კი - მხოლოდ ნათია თოიძე. შეკითხვებს ასევე სვამდნენ ტვ3-ის სხვა ჟურნალისტები, რომლებიც კითხვებით news room-დან ერთვებოდნენ. თოქ-შოუს მთავარი

მიზანი სხვადასხვა პარტიის 14 მერობის კანდიდატის წარდგენა იყო. ტვპ-ის ეთერში ერთმანეთის პირისპირ დებატებში ჩართვნენ თბილისის მერობის ყველაზე რეიტინგული კანდიდატები: დავით ნარმანია, ნიკა მელია, დიმიტრი ლორთქიფანიძე და კახა კუკავა. 24 მაისიდან 14 ივნისამდე პერიოდში „დებატების“ 5 გადაცემა გავიდა ეთერში. მონიტორინგის პერიოდში გასულ გადაცემებში განხილულ იქნა შემდეგი თემები:

- კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამები;
- წინასაარჩევნო გარემოს შეფასება;
- კანდიდატებზე ძალადობის ფაქტები: ჩამოლილი წინასაარჩევნო შეხვედრები;
- ზუგდიდის მერობის კანდიდატები;
- თბილისის მერობის კანდიდატები;
- რუსთავის მერობის კანდიდატები.

ამ პერიოდის განმავლობაში გადაცემას სტუმრობდნენ საპარლამენტო უმრავლესობა და უმცირესობა, არასაპარლამენტო ოპოზიცია, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. წამყვანები დაბალანსებულად და მიუკერძოებლად აშუქებენ არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს.

გადაცემები საკმაოდ დინამიური და ინფორმაციული სახის იყო. ჟურნალისტი ნათია თოიძე გადაცემაში აქტიურად იყო ჩართული, ხშირად სვამდა კითხვებს და აზუსტებდა ინფორმაციას. მისი კითხვები ძირითადად მომთხოვნი და აქტუალური იყო. იგი ცდილობდა სიღრმისეული ინფორმაცია მიეღო სტუმრებისგან და ასევე ოპონირება გაეწია მათთვის. სტუმრებს საუბარს არ აწყვეტინებდა და ბოლომდე უსმენდა მათ. გადაცემაში ჩართული ჟურნალისტები უმეტესად მოდერატორის როლს ასრულებდნენ. წამყვანების მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენება არ დაფიქსირებულა.